



პროფესიული მომზადების პროგრამა
გერიატრიული ასისტენტი

Geriatric Assistant

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: „გერიატრიული ასისტენტი“/ Geriatric Assistant
პროგრამის სახე: <input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება <input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: <input type="checkbox"/> 2 <input checked="" type="checkbox"/> 3 <input type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 7 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 – 25 სთ
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: / სრული წლიური ნაკადი- 48 მსმენელი მინიმალური ----6/--- მაქსიმალური ----12---
პარტნიორი ორგანიზაცია: კლინიკა რუსთავი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: მინიმალური ასაკი 18 წელი, სრული ზოგადი განათლება
<p>პროგრამის მიზნები:</p> <p>პროფესიული მომზადების პროგრამის „გერიატრიული ასისტენტი“ მიზანია მსმენელმა შეიძინოს გერიატრიული ასაკის პირის მოვლის საჭიროებებზე მორგებული ცოდნა და უნარჩვევები, რაც ითვალისწინებს: მოვლას დაავადებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეფექტურ კომუნიკაციას, მოვლისთვის საჭირო პროცედურების ჩატარებას, კვებას, ჰიგიენის მოწესრიგებას, ჩაცმა/გახდას, საწოლის გამზადებას, საწოლისა და პირადი თეთრეულის გამოცვლას, დახმარება მოძრაობის დროს; პაციენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვას, მისთვის მოსახერხებელი გარემოს შექმნას, ტრანსპორტირებას, სანიტარულ-ჰიგიენურ და ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვას. კურსის დასრულების შემდგომ პირი შეიძლება დასაქმდეს: მომვლელად ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, სათემო ან საოჯახო ტიპის მომსახურება, დღის ცენტრი).</p>
<p>წავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)</p> <p>პროგრამა „გერიატრიული ასისტენტი“ - ეყრდნობა ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამას- „საექთნო საქმე-სპეციალიზაციის კოდით- 0913; გამოყენებულია 2 პროფესიული და 1 ზოგადი მოდული - 1. გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები- 0910905- 1.შედეგი- ხანდაზმულ პაციენტში ასაკთან მიმართებით ცვლილებების ჩამოყალიბების განმარტება ; 2 შედეგი- საშუალო ასაკისა და ხანშიშესულობისთვის თავისებურებების განმარტება.</p> <p>2.ავადმყოფის მოვლა- 0910916 –</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პაციენტის მოვლის პრინციპების განმარტება - გამოკითხვა 2. ფიზიოლოგიური საბაზისო მოვლის ასპექტების განმარტება - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით 3. პაციენტის მოვლის ფუნდამენტური პრინციპების განხორციელება 4. ფიზიოლოგიური საბაზისო მოვლის ასპექტების განხორციელება - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით <p>ზოგადი მოდული- კომუნიკაცია საექთნო საქმეში- 0910923</p> <ol style="list-style-type: none"> 1.ინტერპერსონალური კომუნიკაციის არსის განმარტება 2.ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია

„გერიატრიის ასისტენტის“ მომზადების პროგრამა სულ მოიცავს 6 სასწავლო შედეგს, რომლის სრული საათობრივი მოცულობა შეადგენს 144 საათს: + შეფასება - 4 სთ - სულ 148 სთ

1. მოვლის პრინციპების განმარტება (9 სთ)
2. ეფექტური კომუნიკაცია მოვლაში (16 სთ)
3. გერიატრიული ასაკის თავისებურების განმარტება (13 სთ)
4. მოვლითი ღონისძიებების ჩატარება (70 სთ)
5. დამოუკიდებლობის შენარჩუნების ხელშეწყობა (15სთ)
6. პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება (21 სთ)

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროგრამა „გერიატრიული ასისტენტი“ - ეყრდნობა ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამას- „საექთნო საქმე-სპეციალიზაციის კოდით- 0913; გამოყენებულია 2 პროფესიული და 1 ზოგადი მოდული - 1. გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები- 0910905- 1.შედეგი- ხანდაზმულ პაციენტში ასაკთან მიმართებით ცვლილებების ჩამოყალიბების განმარტება ; 2 შედეგი- საშუალო ასაკისა და ხანშიშესულობისთვის თავისებურებების განმარტება.

2.ავადმყოფის მოვლა- 0910916 –

7. პაციენტის მოვლის პრინციპების განმარტება - გამოკითხვა
8. ფიზიოლოგიური საბაზისო მოვლის ასპექტების განმარტება - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
9. პაციენტის მოვლის ფუნდამენტური პრინციპების განხორციელება
10. ფიზიოლოგიური საბაზისო მოვლის ასპექტების განხორციელება - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით

ზოგადი მოდული- კომუნიკაცია საექთნო საქმეში- 0910923

1.ინტერპერსონალური კომუნიკაციის არსის განმარტება

2.ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია

11. პროგრამის მოკლე აღწერა:

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს „არსის“ / საზოგადოებრივი კოლეჯი/ C გარემოში, რომელიც აღჭურვილია საექთნო საქმის პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ინვენტრით და სადაც შესაძლებელია „გერიატრიული ასისტენტის“ პროგრამით გათვალისწინებული როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ათვისება; შპს „არსის“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „გერიატრიული სისტენტის“ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად მულტიფუნქციურ „კლინიკა რუსთავთან“ - კერძოდ პალიატიურ განყოფილებაში დაშვების ნაწილში, რათა პროგრამის

მსმენელებმა ძირითადად რეალისტური გარემოს გაცნობიერების კუთხით უფრო მეტად გაითავისონ გერიატრული ასაკის პირთან მუშაობის რეალისტური სპეციფიკა;

სწავლა მიმდინარეობს კომბინირებული - თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდით;

შეფასება მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას; მსმენელთა განმავითარებელი შეფასება ტარდება სწავლების პარალელურად. ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ტარდება სასწავლო კურსის ბოლოს, რომლისთვისაც გამოყოფილია 4 საათი- 2 სთ-თეორიული ნაწილისთვის / სწავლის შედეგი - 1,2,3/ (გამოკითხვა), ხოლო პრაქტიკული კომპონენტისთვის - 2 საათი პრაქტიკული დავალების შესრულებით;

შეფასება ითვალისწინებს ჩათვლის პრინციპს, რომელიც უშვებს მხოლოდ ორი ტიპის შეფასებას- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა ბ) სწავლის შედეგი არ დადსურდა. მსმენელი, რომელიც პირველ ცდაზე ვერ დაადატურებს შედეგს, უფლება აქვს მოითხოვოს განმეორებითი შეფასება; განმეორებითი შეფასება ტარდება პირველადი შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

განმსაზღვრელი შეფასების დადასტურების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელწმიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს.